პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

30 დეკემბერი, ოთხშაბათი, 1987 წ.
№ 250 (9661) ● ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ზამთრის სპორტული სეზონი წარმატებით დაიწყეს საქართველოს სპორტსმენებმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

## შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი

1988 წლის 17-21 დეკემბერს სსრ კავშირში პირველად ჩატარდება სტუდენტთა მსოფლიო ჩემპიონატი ძიუდოში ვაჟთა და ქალთა შორის. ამ პრესტიჟულ ასპარეზობას, როგორც გადაწყდა, თბილისი უმასპინძლებს.

შეიქმნა ჩემპიონატის მომზადების და ჩატარების საორგანიზაციო კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ზ. ჩხეიძე.

გუშინ გაიმართა საორგანიზაციო კომიტეტის პირველი სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სამინისტროების, უწყებების, პროფკავშირული, სპორტული და ცალკეული ორგანიზაციების ხელმძღვანელი მუშაკები. დაისახა კონკრეტული ღონისძიებები.

სხდომის შედეგები შეაჯამა ზ. ჩხეიძემ.

## მრთი ნაბიჯი მედლამდე

**სსრ კავშირის ჩემპიონატი და თასის გათამაშება ფარიკაობაში**

**სპორტის** დამსახურებულმა ოსტატმა ვლადიმერ აფციაურმა საკავშირო თასის გათამაშებაზე ტალინში მეოთხე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ ამ შეჯიბრების პარალელურად მიმდინარეობს ქვეყნის ჩემპიონატი, ამჯერად — გუნდურ პირველობაში. ურიგოდ არ იასპარეზეს საქართველოს ხმლით მოფარიკავეებმა. ჩვენი გუნდი, რომლის შემადგენლობაში იყვნენ მერაბ ბაზაძე, ირაკლი გვარამაძე, დავით თურქია, ზაზა მჭედლიძე და აკაკი მახარაძე V ადგილზე გამოვიდა. აფციაურის გამოსვლა სეზონის პირველ სტარტზე იმედისმომცემია, მან კვლავ დაადასტურა, რომ ქვეყნის ერთ-ერთ უძლიერეს რაპირისტად რჩება.

**საკავშირო თასის გათამაშება საციგაო სპორტში**

## სვერდლოვსკიდან იტალიაში

**სვერდლოვსკში** დამთავრდა საკავშირო თასის გათამაშების მეორე ეტაპი საციგაო სპორტში. როგორც მოსალოდნელი იყო, იუნიორთა შორის ორადგილიანი ციგებით ბადალი არ ჰყავდათ ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლებს, ქვეყნის ახალგაზრდული ნაკრების წევრებს, ბაკურიანელ ოსტატობის კანდიდატებს, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკის ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებს ლევან თიბილოვსა და კახა ვახტანგიშვილს (ორივე — ასკ). ამ გამარჯვებით მათ უფლება მოიპოვეს იასპარეზონ იუნიორთა მსოფლიო პირველობაში, რომელიც იანვრის შუა რიცხვებში იტალიაში გაიმართება.

**საკავშირო შეჯიბრება ციგურებით რბენაში**



## ინგა გილაური ორ დისტანციაზე—მეორე!

**ლენინგრადში,** სპორტულ-საკონცერტო კომპლექსში, დამთავრდა ტრადიციული საკავშირო შეჯიბრება ციგურებით რბენაში, რომელიც ცნობილი სპორტული ჟურნალისტის, გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" ყოფილი მთავარი რედაქტორის ნიკოლაი კისელიოვის ხსოვნას მიეძღვნა. ეს შეჯიბრება ამჯერად იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ კალგარის ზამთრის ოლიმპიადისთვის (1988 წლის 13-28 თებერვალი) ქვეყნის ნაკრების წევრთა შერჩევის ერთ-ერთ უკანასკნელ ეტაპს წარმოადგენდა.

კარგი სპორტული სეზონი დაუდგა ქართველ მოციგურავეს — პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტს, ქვეყნის ნაკრების წევრს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს ინგა გილაურს („დინამო"). მან მშვენივრად გაიარა სტაიერული დისტანციები — 3.000 და 5.000 მეტრი და ორივეჯერ მეორე შედეგი აჩვენა (შესაბამისად, 4.28,07 და 7.45.09). გორკელ ელენა ტუმანოვას 4.24,68, და 7.39,21 ჰქონდა. რაც შეეხება 1.500-მეტრიან დისტანციას, გილაური აქ მეოთხე იყო (2.08,90). პირველობა კი კვლავ ტუმანოვამ მოიპოვა (2.07,68).

საუკეთესო მოციგურავეებმა, მათ შორის ინგა გილაურმა, ევროპის ჩემპიონატში მონაწილეობის უფლება მოიპოვეს. ამ საპასუხისმგებლო სტარტებზე, ალბათ, საბოლოოდ გადაწყდება, თუ ვინ დაიცავს ქვეყნის ღირსებას კალგარის თეთრ ოლიმპიადაზე.

სურათზე: ინგა გილაური.
ბორის კამენსკის ფოტო.

**მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში იუნიორთა შორის**

## პრინციპული გამარჯვება

**მოსკოვი.** გრძელდება ჰოკეისტთა ახალგაზრდული მსოფლიო ჩემპიონატი. 28 დეკემბერს ყურადღების ცენტრში იყო უმაღლესი ტიტულის მფლობელის ფინეთისა და საბჭოთა ნაკრების ორთაბრძოლა. ჩვენმა სპორტსმენებმა ეს შეხვედრა დიდი ანგარიშით 6:2 (3:0, 0:0, 3:2) მოიგეს.

საინტერესო გამოდგა კანადისა და ჩეხოსლოვაკიის ჰოკეისტთა მატჩი. კანადელებმა განსაკუთრებით ძლიერად ჩაატარეს ბოლო პერიოდი და დამსახურებულ გამარჯვებას მიაღწიეს 4:2 (2:1, 0:1, 2:0).

სხვა მატჩები დამთავრდა ასე: აშშ — გფრ 6:4 (2:1, 4:1, 0:2), შვეცია — პოლონეთი 13:0 (4:0, 2:0, 7:0).

**ვუბრუნდებით დაბეჭდილს**

### „მდგომარეობა დამაფიქრებელია, გულისტკივილი — სამართლიანი"

„ლელოს" 1 დეკემბრის ნომერში ამ სათაურით გამოქვეყნებული კრიტიკული წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ფაქტები სინამდვილეს შეეფერება. ვარკეთილის მე-4 მიკრორაიონის განაშენიანების გენერალური გეგმით გათვალისწინებულია 8 მარტივი ტიპის სპორტული მოედნის მოწყობა, ეს დავალება დღემდე არ შესრულებულა.

საქალაქო საბჭოს აღმასკომის კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს წინაშე დაისვა საკითხი აღნიშნულ მიკრორაიონში 1988 წლისათვის გეგმით გათვალისწინებული სპორტული მოედნების მოწყობის შესახებ.

ამასთანავე რაიაღმასკომს, მთავარ არქიტექტურულ დაგეგმარებით სამმართველოსთან შეთანხმებით, გათვალისწინებული აქვს 1988 წლის 1 ივლისამდე მოაწყოს მარტივი ტიპის სპორტული მოედანი ამავე მიკრორაიონის № 13 კორპუსთან მდებარე თავისუფალ მიწის ნაკვეთზე.

პასუხი ეცნობა მიკრორაიონის მოსახლეობას და 479-ე კოოპერატივის გამგეობას.

ბ. დიდბერიძე,
26 კომისრის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი.

Пролетарии всех стран, соединяйтесь!
Коммунистическая партия Советского Союза
ПРАВДА
Газета основана 5 мая 1912 года В. И. ЛЕНИНЫМ
Орган Центрального Комитета КПСС
№ 363 [25330] ◆ Вторник, 29 декабря 1987 года ◆ Цена 4 коп.

## წონა როდი წყვეტს ყველაფერს

**ფიქრები სამბოში ქვეყნის აბსოლუტურ ჩემპიონატზე**

**ბევრია განა ჩვენს ქვეყანაში დარბაზი, რომლის კედლებში ერთბაშად ხუთმა მოჭიდავემ განვლო გზა ახალბედიდან სპორტის დამსახურებულ ოსტატამდე? იტყვით, ალბათ, რომ ასეთი ქალაქებიც თითზე ჩამოსათვლელია, აქ კი, მხოლოდ ერთი დარბაზი და... შესაძლებელია განა ეს? შესაძლებელია.**

მაშ ასე, ხუთეულის შესახებ ერთი დარბაზიდან. ჩვენს პირველ ოლიმპიურ პრიზიორთა შორის არის სსრ კავშირისა და ევროპის არაერთგზის ჩემპიონი ანზორ კიკნაძე, მსოფლიოს ჩემპიონატის პრიზიორი, ევროპის მრავალგზის ჩემპიონი ანზორ ქიბროწაშვილი, ჩვენი პირველი ოლიმპიური ჩემპიონი ძიუდოში შოთა ჩოჩიშვილი, მსოფლიოს ჩემპიონი თემურ ხუბულური და ოლიმპიური ჩემპიონი შოთა ხაბარელი. ყველა სპორტის დამსახურებული ოსტატია, ყველა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელების გურამ პაპიტაშვილისა და გივი ზაუტაშვილის აღზრდილია. ყველა მათგანი, როგორც მოჭიდავე, გორის საჭიდაო დარბაზის ჭერქვეშ დაოსტატდა. ამიტომაც უპრიანია, რომ სწორედ ამ დარბაზში წლის ბოლოს გაიმართა სსრ კავშირის აბსოლუტური ჩემპიონატი სამბოში ჟურნალ „სოვეტსკი ვოინის" პრიზზე.

როგორც ცნობილია, ამგვარ შეჯიბრებებში მოდების დიქტატორებად მძიმე და ქვემძიმე წონის ფალავნები გვევლინებიან. გასაგებიცაა: 80-კილოგრამიან ათლეტს გაუჭირდება წარმატების მოპოვება 120-კილოგრამიან მეტოქესთან. ჭიდაობაში საკუთარ წონას მნიშვნელოვანი როლი ენიჭება. სწორედ ამან განაპირობა გორის ტურნირის მონაწილეთა „წონიანობა" — 149 კილოგრამიან თბილისელ ბ. გულიაშვილიდან 99-კილოგრამიან ტულელ მ. გამზათხანოვამდე.

უკვე პირველმა შეხვედრებმა გამოავლინეს ლიდერები — სიმფეროპოლელი ვ. სერდიუკოვი და თბილისელი მ. ბერუაშვილი. ოსტატობა საგრძნობლად გამოარჩევდა ორივეს მეტოქეებისგან. გორის ხალიჩის დაძაბულობაზე მეტყველებს ის, რომ უკვე შუა ტურნირში მედლის მოპოვების იმედი გადაეწურათ საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატებს, კიეველ ვ. სლავნისა (იგი ერთხელ უკვე გახლდათ ქვეყნის აბსოლუტური ჩემპიონი), მოსკოველ ი. კოლმიკოვს და სსრ კავშირის სპარტაკიადის ჩემპიონს, ოდესელ მ. ჯაფარიძეს.

მაყურებელთა სკამზე ოდესელი გაგზავნა ჩემპიონატის ყველაზე „გამხდარმა" მონაწილემ გამზათხანოვმა — მ. ჯაფარიძეს ვერ უშველა წონაში 15-კილოგრამიანმა უპირატესობამ. მეტოქე იმდენად გაბედულად იბრძოდა, მისი იერიშები ისეთი ოსტატური და ლამაზი იყო, რომ მაყურებლები ფეხზე ამდგარნი მიესალმნენ მის „სუფთა" გამარჯვებას. ასე რომ, მხოლოდ წონა როდი წყვეტს ყველაფერს...

და მაინც წერტილები „ი"-ზე სხვებმა დასვეს. ფინალმა ერთმანეთს დინამოელები შეახვედრა: სსრ კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადის აბსოლუტური ჩემპიონი ძიუდოში მალხაზ ბერუაშვილი და ევროპის ჩემპიონი სამბოში ვიქტორ სერდიუკოვი. ბერუაშვილს მშობლიურმა კედლებმა კი არ უშველეს, არამედ გაბედულებამ და ოსტატობამ. ეს იყო ჩემპიონატის ერთ-ერთი საუკეთესო ორთაბრძოლა. საჭიროა კი კომენტარი, როდესაც ანგარიშია 12:0?

ბერუაშვილი 26 წლისაა. სამი წლის წინ იგი ქვეყნის ჩემპიონი გახდა ძიუდოში, ქვემძიმე წონაში. აბსოლუტური ჩემპიონის ოქროს მედალი მისი უმაღლესი მიღწევაა სამბოში. ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს მ. გამზათხანოვმა და თბილისელმა ი. ჯიჩოშვილმა. ტულელმა მოჭიდავემ მოიპოვა აგრეთვე სპეციალური პრიზი გამარჯვებაში ნებისყოფისათვის.

ი. დიმოვი.
„პრავდა". 29 დეკემბერი.



თბილისის ჩაის სახლში საქართველოს სახელმწიფო აგროსამრეწველო კომიტეტის აპარატის ფიზკულტურული კოლექტივის საბჭომ (თავმჯდომარე კოკი ბაქრაძე) შეხვედრა მოუწყო ამ სისტემაში მომუშავე გამორჩეულ ვეტერან სპორტსმენებს. საღამოზე მოწვეული იყო აგრეთვე სსრ კავშირის ჩემპიონი ქალთა ჭადრაკში დიდოსტატი ნანა იოსელიანი.

შეხვედრა გახსნა სახაგროსამრეწვის თავმჯდომარის მოადგილემ ნოდარ ჩხოლარიამ. სპორტსმენებმა ძველი და ახალი წლის გასაყარზე ბევრი საინტერესო ეპიზოდი გაიხსენეს თავიანთი სპორტული ცხოვრებიდან.

ჯემალ კასრაძის ფოტო.

## წოდებათა მინიჭება

**სსრ კავშირის** ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა სსრ კავშირის სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭა:

**ველოსპორტში** — სტელლა ტრიხინას (პროფკავშირები, ქობულეთი);

**თავისუფალ ჭიდაობაში** — თამაზ კურკუმულს (პროფკავშირები, თბილისი).

• • •

**ხელბურთში** — საკავშირო მსაჯის წოდება მიენიჭა იური კოსიაკოვს (განათლების სამინისტრო, თბილისი).

## დაჯილდოება

**რესპუბლიკაში** ფეხბურთის დანერგვისა და განვითარების საქმეში გაწეული ხანგრძლივი და ნაყოფიერი შრომისთვის, დაბადებიდან 75 წლის შესრულებასთან დაკავშირებით საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტმა საპატიო სიგელით დააჯილდოვა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი ფეხბურთში, საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის დამსახურებული მუშაკი, სსრ კავშირის სპორტის საპატიო მსაჯი **ნესტორ იოსების ძე ჩხატარაშვილი.**

პრობლემა ⊙ პრობლემა ⊙ პრობლემა ⊙ პრობლემა



# ერთი თაობისთვის დაკარგული სიკეთე

**ამ** წერილს ორი შეხვედრა უდევს საფუძვლად. მათგან ერთი ამ დღეებში შედგა, როცა რედაქციის სახელით დაბადებიდან 80 წლისთავის მისალოცად მივედით მეცნიერების დამსახურებულ მოღვაწესთან, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტთან, პროფესორ ალექსი რობაქიძესთან. ცნობილი ეთნოგრაფი 150-ზე მეტი სამეცნიერო შრომის და 10 მონოგრაფიის ავტორია. მისი ნაშრომები საინტერესო მასალებს შეიცავს კავკასიისმცოდნეობის ყველა დარგისათვის. ამასთან, ალექსი რობაქიძე ხანგრძლივი პერიოდის მანძილზე იკვლევდა სპორტის ეროვნულ სახეობებს და მოძრავ თამაშებს. თავის დროზე ექსპედიციებში მონაწილეობისას მან კარგად შეისწავლა ფიზიკური აღზრდის უძველესი ქართული სახეობა — მონადირეობა. განსაკუთრებით იყო დაინტერესებული სამონადირეო და, საერთოდ, ქართული იარაღის შესწავლით. ამ დაინტერესების ნაყოფია წიგნი „კოლექტიური ნადირობის გადმონაშთები რაჭაში", რომელიც დღეს უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობად იქცა. უნდა აღინიშნოს მისი დამსახურება ქართული თამაშის — ცხენბურთის წარმოშობისა და მისი დანიშნულების საკითხის გარკვევაში. ამ საკითხზე მსჯელობა იყო სხვადასხვა მასშტაბის სამეცნიერო ფორუმებზე, მათ შორის — მეცნიერებათა აკადემიის სესიაზეც. გამოკვლევებით დადასტურდა, რომ ცხენბურთი, რომელიც დიდხანს აღმოსავლური თამაშის თავისებურ ვარიანტად ითვლებოდა, სინამდვილეში წმინდა ეროვნული, ქართულ ნიადაგზე აღმოცენებული სპორტის სახეობაა.

ყოველივე ამის შესახებ გვსურდა საუბარი იუბილართან. თან, როგორც გითხარით, დაბადების დღე უნდა მიგველოცა. საგაზეთო მასალაც შესაფერისი გვქონდა ჩაფიქრებული — საზეიმო, მხიარული და — უპრობლემო!

არ გამოვიდა. სტუმარი და მიმლოცველი იუბილარს იმ დღეებში უჩვენოდაც არ აკლდა. რაც შეეხება სხვა საკითხებს, საუბარში როგორღაც თავისთავად გამოიკვეთა პრობლემა — სადღეისოდ იმდენად მნიშვნელოვანი, რომ გვერდს ვერასგზით ვერ აუვლით. მაგრამ ამაზე — მოგვიანებით. ახლა კი მეორე შეხვედრაზეც ვთქვათ რამდენიმე სიტყვა.

ეს შეხვედრა ამ ორი წლის წინათ შედგა. ამერიკის შტატ ალაბამის უნივერსიტეტის სამართლის პროფესორი, ორმოცდაოთხი წლის უიზ ჰოლტი თბილისში უმაღლესი სკოლების მასწავლებელთა დელეგაციას ჩამოჰყვა. დელეგაცია მშვიდობის მისიით ეწვია ჩვენს ქვეყანას და მიზნად ისახავდა შეხვედრებს ჩვენი საზოგადოების უფართოეს წრეებთან — სამრეწველო გაერთიანებათა დირექტორებთან თუ დიასახლისებთან. ჩემი მისია ცოტა განსხვავებული იყო. ამ პერიოდში მზადდებოდა საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის ლოზანის 39-ე სესია, რომელზეც ოლიმპიურ პროგრამაში ბეისბოლის შეტანის საკითხიც უნდა გადაწყვეტილიყო. ჩვენს ქვეყანაში მაშინ ბეისბოლს ჯერ კიდევ არ იცნობდნენ, სასწავლო ლიტერატურა არ არსებობდა; მცირერიცხოვანი უცხოური გამოცემები, რომლებზეც ხელი მიგვიწვდებოდა, კონკრეტულ პასუხს არ იძლეოდნენ კითხვაზე — მაინც, როგორ უნდა ვითამაშოთ ბეისბოლი? საერთოდაც, მარტო აღწერით ბეისბოლს ვერ გაიგებ.

იმის იმედი, რომ ამერიკის უმაღლესი სასწავლებლების ათი მასწავლებლიდან ბეისბოლი ერთს მაინც ეცოდინებოდა, ჩვენ, ცხადია, არ გვქონია. უბრალოდ, ბედმა გაგვიღიმა, რომ უიზ ჰოლტი ყოფილი პროფესიონალი ბეისბოლისტი აღმოჩნდა, ისიც გამოირკვა, რომ იგი თავისუფალ დროს ახლაც ავარჯიშებს მოყვარულთა გუნდს, უიზ ჰოლტი სამი საათის განმავლობაში გვიამბობდა, გვიხატავდა, გვიხსნიდა, როგორ თამაშობენ ბეისბოლს. მან პირველმა ჩამოიტანა ჩვენს ქალაქში სპორტის ეს სახეობა შორეული კონტინენტიდან. ყველა დანარჩენი: პუბლიკაციები ჩვენს გაზეთებში, ვიდეოკასეტები, ცნობარები, გუნდები, საერთაშორისო ტურნირები — შემდეგ იყო.



რატომ მგონია, რომ ამ ორ შეხვედრას შორის რაღაც კავშირი არის? ალბათ იმიტომ, რომ ორივე შემთხვევაში საქმე ეხება სპორტის ეროვნული სახეობების გამდიდრებას — ერთი მხრივ, ჩვენთვის ახალი, დღემდე უცნობი, სხვა ქვეყნებსა და ხალხებში გავრცელებული სახეობების შესწავლისა და დანერგვის გზით, მეორე მხრივ კი — ჩვენივე საუნჯის მიმართ გამუდმებული ყურადღების, მასზე ზრუნვის, მისი მოვლა-პატრონობისა და ღრმად შესწავლის მეშვეობით.

რაც შეეხება სპორტის უცხოური სახეობების შესწავლისა და დანერგვის საქმეს ჩვენში, ეს ცუდად არ უნდა იყოს. პროცესი, შეიძლება ითქვას, უმტკივნეულოდ მიმდინარეობს. გამოჩნდენ თუ არა საზღვარგარეთ ბორბლებზე დამაგრებული დაფებით სრიალის—სქეითბორდის მოყვარულები, ჩვენშიც ეს სახეობა მყისვე მასობრივი გატაცების საგნად იქცა. გუდაურში წარმატებით ინერგება ქართული ფრისტაილი. ბეისბოლი ხომ საბოლოოდ დამკვიდრდა ჩვენს რესპუბლიკაში — ამჟამად საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი გამოსაცემად ამზადებს ამ თამაშის ტერმინოლოგიის ქართულ ვარიანტს. ჯერჯერობით არ ვიცით, რას დავარქმევთ ამ თამაშს ჩვენში — „ბაზბურთს" თუ „კეტბურთს", მაგრამ ის, რომ მისი სახელწოდების ქართული ეკვივალენტი მალე გვექნება, უკვე გადაწყვეტილია.

ახლა კი ისიც ვთქვათ, როგორ ვსწავლობთ და ვუფრთხილდებით ჩვენს საკუთარ, ეროვნულ სახეობებს. და ვიდრე ამ საკითხზე გადავიდოდეთ, ისევ დავუბრუნდეთ საუბარს ალექსი რობაქიძესთან. მეცნიერ-ეთნოგრაფი, რომელსაც სისტემატურად უხდებოდა მოგზაურობა და მუშაობა საქართველოს სხვადასხვა რაიონში, როგორც ვთქვით, ჩვენი სპორტის წარსულით, ეროვნულ სახეობათა ისტორიის კვლევითაც იყო დაინტერესებული. სპორტის ეროვნულ სახეობებში ხომ თავისებურ ასახვას პოვებდა ჩვენი წინაპრების ცხოვრების წესი და ხასიათი. შრომა და ბრძოლა — ასეთი იყო მათი ცხოვრების კანონი. თამაშები იყო არა გართობა, არამედ, პირველ ყოვლისა, წვრთნა, წრთობისა და საბრძოლო სულისკვეთების გაღვივების საუკეთესო საშუალება. დიახ, იმას, რომ საქართველოს მაღალმთიანი რაიონების მცხოვრებნი გამუდმებით საბრძოლო მზადყოფნაში იყვნენ, მარტო მათი სახლების თავისებური კონსტრუქცია კი არა... თამაშები და ფიზიკური აღზრდის საშუალებებიც ადასტურებს. ხევსურეთში, მაგალითად, ფარიკაობა მოწყვეტილი კი არ იყო ყოფა-ცხოვრებას, არამედ, პირიქით, სწორედ ამ ცხოვრებით გახლდათ განპირობებული. მით უმეტეს, იგი არ იყო შემოტანილი საზღვარგარეთიდან, როგორც ამას ზოგიერთი მკვლევარი ამტკიცებდა.

კვლევამ უფრო ორგანიზებული ხასიათი მიღო 1947 წლის შემდეგ, როცა ფიზიკური კულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში გაიხსნა ფიზიკური კულტურის ისტორიისა და სპორტის ეროვნულ სახეობათა შესწავლის სექტორი. მას სათავეში ჩაუდგა ალექსი რობაქიძე. სექტორის მუშაკები მთელს საქართველოში მოგზაურობდნენ, ესაუბრებოდნენ ადგილობრივ მცხოვრებლებს, სწავლობდნენ, იწერდნენ. ყველა თამაშს აღწერდნენ ცალ-ცალკე ერთი ნიმუშის — ეგრეთ წოდებულ „პასპორტის" მიხედვით. ამან მოგვცა მთელი ჩვენი სპორტის ისტორიის ზუსტი კლასიფიცირებისა და მოწესრიგების საშუალება. იმ პერიოდში შექმნილ სამეცნიერო ნაშრომებს, დისერტაციებს, დიდ თეორიულ დანიშნულებასთან ერთად გამოყენებითი ხასიათიც ჰქონდა. დავიწყების გზაზე მდგარი სახეობები აღორძინდა. „ლელომ" გამოაქვეყნა მოწოდება ყველა მკითხველისადმი, რომ თავიანთი მონაწილეობით ხელი შეეწყოთ საქმისათვის. რედაქციაში მოდიოდა უამრავი წერილი, რომლებშიც აღწერილი იყო ჩვენი თამაშების არსი.

მე არ ვიცი, საჭიროა თუ არა საგანგებოდ აღინიშნოს, რომ აქ ლაპარაკია არა მარტო ქართულ თამაშებსა და სპორტულ გატაცებებზე, არამედ საერთოდ, ეროვნულ, უსამართლოდ დავიწყებულ სახეობებზე. რატომ არის, რომ ჩვენი მოჭიდავეები უფრო ადვილად ითვისებენ კლასიკური ჭიდაობის ილეთებს? იმიტომ, რომ ისინი ქართულ ჭიდაობაზე არიან გაზრდილნი. ასევე ხდება სომხეთში, სადაც ყოველმხრივ იცავენ და უფრთხილდებიან სომხურ ეროვნულ ჭიდაობას — „კოხს". თუმცა, უთქმელადაც ცხადია, რომ საკუთარი ისტორიის დავიწყება თვითმკვლელობას უდრის. მომავალი არ არსებობს წარსულის გარეშე!



ამ დებულების წინააღმდეგი, ცხადია, არავინ არის, მაგრამ, მეორე მხრივ, უკვე 30 წელიწადია არ არსებობს ოფიციალური სახელმწიფო ქვეგანყოფილება, რომელიც სათავეში ჩაუდგებოდა სპორტის ეროვნული სახეობების თუ მოძრავი თამაშების მიზანმიმართული გაუმჯობესების საქმეს!

1957 წელს ფიზიკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ზემოთ ნახსენები სექტორი რატომღაც დახურეს, თუმცა მუშაობა მთელი ძალით იყო გაჩაღებული. გამოვიდა პირველი კრებულები ნ. შიშნიაშვილისა და ზ. შერაზადიშვილის რედაქციით, რამდენიმე მონოგრაფია. მათი თემა ქართული ხალხური თამაშობანი იყო.

ერთი შეხედვით, ოცდაათი წელი არც ისე დიდი დროა. 1957 წელი ბევრს გუშინდელ დღესავით ახსოვს. მაგრამ ეს დრო შეიძლება გამოუსწორებელ დანაკარგად იქცეს, როცა საქმე ისტორიას ეხება. სულ უფრო კლებულობს იმათი რიცხვი, ვისაც ახსოვს, ვინც იცის, ვისაც შეუძლია ჩვენ და ჩვენს შვილებს გადმოგვცეს, გვასწავლოს წარსულის მდიდარი მემკვიდრეობა.

როცა ფიზკულტურის სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში ვიკითხე, ვინ და როგორ მუშაობს ამჟამად სპორტის ქართული, ეროვნული სახეობებისა და მოძრავი თამაშების შესწავლა-გაუმჯობესებისთვის, თითქოს პასუხიც გამცეს — მასობრივი ფიზკულტურის განყოფილებაო. როგორ მუშაობს? — ტარდება ექსპერიმენტი თბილისის № 75 საბავშვო ბაღში, ბავშვებს ასწავლიან ათ სტილიზებულ (სპორტული განხრით) ეროვნულ ქართულ თამაშს. ეს კეთდება საშეფო დახმარების წესით, რამდენადაც ასეთი მუშაობა გეგმით, ხარჯთაღრიცხვით არ არის გათვალისწინებული, მეტს ვერც მოითხოვ — განყოფილების შტატში სულ სამი კაცია.

საქართველოს სპორტსახკომთან ამ რამდენიმე ხნის წინათ შეიქმნა სპორტის ეროვნული სახეობებისა და ხალხური თამაშების ფედერაცია, გარდა ამისა შეიქმნა მოსახლეობის ფიზიკური აღზრდის რესპუბლიკური საბჭო, რომლის თავმჯდომარედ აირჩიეს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრი, საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, საწარმოო გაერთიანება „ელმავალმშენებლის" კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი გურამ მეტონიძე (ამ საბჭოს წევრი ალექსი რობაქიძეც გახლავთ). წლეულს ოქტომბერში საბჭოს ბიუროს სხდომამ სხვა პრობლემებთან ერთად განიხილა სპორტის ეროვნულ სახეობათა აღორძინების საკითხიც. მაშინ საკმაოდ ვრცელი ინფორმაცია გამოქვეყნდა, მაგრამ ახლა მინდა ხაზი გავუსვა ერთ ფრაზას, რომელიც ყველა გამომსვლელის სიტყვაში ფიგურირებდა: „ეროვნული სახეობებიც ისეთსავე ყურადღებას საჭიროებს, როგორსაც ოლიმპიური სახეობები!" ითქვა, რომ ეროვნულ სახეობებში, მართალია, შეჯიბრებები ტარდება, მაგრამ ერთი ჯგუფიც არა გვყავს ისეთი, ამ სახეობებში სისტემატურად რომ მეცადინეობდეს. ითქვა ისიც, რომ ეროვნული სახეობები გამუდმებულ, შეუნელებელ ყურადღებას მოითხოვს, რაც უაღრესად მაღალ მეცნიერულ დონეზე უნდა გაკეთდეს.

შეუძლია თუ არა მხოლოდ და მხოლოდ საზოგადოებრივ საწყისებზე (ანუ ენთუზიაზმზე) შექმნილ ფედერაციას ან საბჭოს უზრუნველყოს ეს მაღალი სამეცნიერო დონე? მიუხედავად დიდი სურვილისა, ძნელი წარმოსადგენია.

იმ სხდომაზე ბევრი ითქვა მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მონაწილეობაზე, ეროვნული სახეობების პროპაგანდაზე. ამ მხრივ ჩვენ მართლაც შეგვიძლია ზოგი რამ გავაკეთოთ. მაგალითად, შეგვიძლია გავიმეოროთ ოცდაათი წლის წინანდელი გამოცდილება — დახმარებისთვის მივმართოთ მკითხველს. დაგვეხმარებიან! მაგრამ ვინ მოჰკიდებს ხელს მიღებული ინფორმაციის დამუშავებას, ვინ დაადგენს ამა თუ იმ დავიწყებული თამაშის ნამდვილ სახეს?

იქნება თუ არა ამისთვის საკმარისი მხოლოდ და მხოლოდ ენთუზიაზმი?

პარადოქსულია, საწყენია, გულსატკენია, მაგრამ ფაქტია: ფრისტაილსა და ბეისბოლზე გაცილებით მეტი ვიცით დღეს, ვიდრე ლელობურთზე, ჭოკით სიგრძეზე ხტომასა და ბოძალის ტყორცნაზე.

უმოქმედობის 30 წელი! მთელი თაობა მოაკლდა იმ სიკეთეს, რაც მას სავსებით კანონიერად ეკუთვნოდა — წინაპართა სპორტულ მემკვიდრეობას!

იქნებ დროა, გამოვასწოროთ ეს შეცდომა?

**პეპი ბოჭორიშვილი.**

# „სოვეტსკი პროფსოიუზის" პრიზზე

**საკავშირო** პროფსაბჭოს ინიციატივით ჩვენს ქვეყანაში ყოველწლიურად იმართება ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი ჟურნალ „სოვეტსკი პროფსოიუზის" პრიზზე. პრიზის მეცხრე გათამაშება დაგომისის სპორტულ კომპლექსში ჩატარდა. 78 კგ. წონით კატეგორიაში თავი გამოიჩინა ქართველმა ფალავანმა ენგურ გოგიჩაშვილმა, რომელმაც ზედიზედ დაამარცხა მასიმო გერლა (ესპანეთი), ერნეტ შტაინიკე (ავსტრია), ალექსანდრ კუხალენკო (სსრკ), რაშიდ აგამიროვი (სსრკ) და მხოლოდ ფინალში დათმო შეხვედრა რაშიდ იბრაგიმოვთან (სსრკ). გოგიჩაშვილს ვერცხლის მედალი გადაეცა.

**რ. შარიფოევი,**
**საკავშირო კატეგორიის მსაჯი.**

## საკოორდინაციო საბჭოს სხდომაზე

**არც** თუ ისე დიდი ხანია, რაც შეიქმნა რესპუბლიკაში ცხენოსნობის შემდგომი განვითარების საკოორდინაციო საბჭო, რომელსაც სათავეში ჩაუდგა წარსულში ცნობილი მხედარი, თბილისის სახელმწიფო იპოდრომის დირექტორი მ. ტატიშვილი.

ამ დღეებში გამართულ საბჭოს მორიგ სხდომაზე განიხილეს ჩოხატაურის საცხენოსნო სპორტულ კლუბში ცხენოსნობის ეროვნული და კლასიკური სახეობების მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების საკითხი. აღინიშნა, რომ ამ რაიონში დაიკარგა ოდინდელი ტრადიციები. საცხენოსნო კლუბი ახლა მხოლოდ იმისთვის არსებობს, რომ ზოგჯერ ეროვნულ სახეობებში მიიღოს მონაწილეობა, კლასიკური სახეობები დავიწყებულია და, ცხადია, ამ რაიონიდან დიდი ხანია ვერც ნაკრები იღებს შევსებას. სხდომაზე გადაწყდა ღრმად შეისწავლონ კლუბში შექმნილი მდგომარეობა და საკითხი განსახილველად გაიტანონ საცხენოსნო სპორტის ფედერაციის სხდომაზე.

საბჭოს ამავე სხდომაზე დაამტკიცეს მსაჯთა ბრიგადა 28 კაცის შემადგენლობით. მიღებულია გადაწყვეტილება, რომ 1988 წლიდან ჯერ სანახევროდ, შემდეგ კი 1990 წლამდე, მთლიანად ადგილობრივი ჯიშის ცხენებით დაკომპლექტდეს ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში მონაწილე გუნდები.

# სსრ კავშირის ნაკრები — 87

● **სსრ კავშირის** ფეხბურთელთა ნაკრებმა 1987 წელს 9 საერთაშორისო მატჩი ჩაატარა, რომელთაგან 5 მოიგო, 3 ფრედ დაამთავრა და ერთი წააგო, გატანილი და მიღებული ბურთების შეფარდებაა 12:5. ამ 9 მატჩიდან 4 ამხანაგური იყო, ხოლო 5 — ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირისა.

● **წლის** განმავლობაში ნაკრების შემადგენლობაში ჩვენი 8 საკლუბო გუნდის 30 ფეხბურთელმა ითამაშა. ყველაზე მეტი წარმომადგენელი ჰყავდა კიევის „დინამოს" — 13, შემდეგ მოსკოვის „სპარტაკს" — 4, დნეპროპეტროვსკის „დნეპრსა" და მოსკოვის „დინამოს" — 3-3, თბილისის „დინამოს", მინსკის „დინამოსა" და ცსკა-ს — 2-2, ხოლო ალმა-ათის „ქაირათს" — 1.

● **ნაკრების** ყველა 9 მატჩში მონაწილეობა მიიღეს კიეველმა ვ. რაცმა და დნეპროპეტროვსკელმა ო. პროტასოვმა. 8-8 მატჩი ითამაშეს ო. კუზნეცოვმა, ს. ალეინიკოვმა და ვ. ხიდიატულინმა, 7-7 — ა. დემიანენკომ, პ. იაკოვენკომ, ი. ბელანოვმა, რ. დასაევმა, თბილისის დინამოელებმა ა. ჩივაძემ და თ. სულაქველიძემ 2-2 მატჩში მიიღეს მონაწილეობა.

● **ნაკრების** მიერ გატანილი 12 ბურთი მოდის შემდეგ ფეხბურთელებზე: ა. ზავაროვი, ი. ბელანოვი, ი. დობროვოლსკი, ო. პროტასოვი — 2-2, ა. მიხაილიჩენკო, ს. ალეინიკოვი, ი. იარემჩუკი — თითო, ერთი ბურთიც საკუთარ კარში გაიტანა შვეციის ნაკრების მოთამაშემ ლიონმა. ეს მოხდა თბილისში გამართულ ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში.

● **ნაკრების** მეკარეთაგან რ. დასაევმა 7 მატჩში 5 ბურთი გაუშვა, ხოლო ვ. ჩანოვს ორ მატჩში არც ერთი ბურთი არ გაუშვია. საერთოდ, ვ. ჩანოვს ნაკრებში 5 მატჩი აქვს ჩატარებული, ბურთი კი მას ჯერ არ გაუშვია.

● **ნაკრებში** დებიუტი ჰქონდა 6 ფეხბურთელს: ვ. ტატარჩუკი, ვ. ბროშინი (ცსკა), ა. მიხაილიჩენკო („დინამო" კ.), ვ. ლოსევი („დინამო" მ.), ე. იაროვენკო („ქაირათი"), ვ. ტიშჩენკო („დნეპრი").

● **1987 წელს** არც ჩვენი ნაკრების, არც მის მეტოქეთა კარში 11-მეტრიანი არ დაუნიშნავთ.

● **ნაკრების** წევრებმა დაიმსახურეს 10 ყვითელი ბარათი: ა. მიხაილიჩენკო — 2, ვ. რაცი, ა. ზავაროვი, ო. კუზნეცოვი, თ. სულაქველიძე, ი. ბელანოვი, ს. ალეინიკოვი, გ. ლიტოვჩენკო, პ. იაკოვენკო — თითო.

● **სულ** სსრ კავშირის ნაკრების შემადგენლობაში თბილისის „დინამოდან" 25 ფეხბურთელმა ითამაშა: მ. ხურცილავა — 67 მატჩი, რ. ძოძუაშვილი, ა. ჩივაძე — 49-49, ს. მეტრეველი — 48 („დინამო" თბ. — 28, „ტორპედო" მ. — 20), თ. სულაქველიძე — 46, მ. მესხი — 35, რ. შენგელია — 26, ვ. დარასელია — 22, გ. ნოდია — 20, გ. ჩოხელი, დ. ყიფიანი — 19-19, კ. ასათიანი — 16, შ. ხინჩაგაშვილი, ვ. გუცაევი — 11-11, რ. ჩელებაძე — 9, გ. სიჭინავა — 8, გ. ცხოვრებოვი — 7, მ. მაჩაიძე, ვ. ქორიძე — 4-4, ა. ლოლობერიძე, თ. კოსტავა 3-3, ვ. ბარქაია — 2, ა. ჭკუასელი, ო. გაბელია, ნ.



ხიზანიშვილი 1-1. მათ გარდა ნაკრებში გამოდიოდნენ რ. ურუშაძე („ტორპედო" ქ.) — 2, ა. კავაზაშვილი — 30 („ტორპედო" მ. — 21, „სპარტაკი" მ — 9), ს. კუტივაძე („ტორპედო" ქ.), ს. შვეცოვი „სპარტაკი" მ) — თითო.

● **ყველაზე** მეტი ოფიციალური მატჩი ნაკრებში ჩატარებული აქვს ო. ბლოხინს — 108. 50 და მეტი მატჩი ჩაატარეს შემდეგმა ფეხბურთელებმა: ა. შესტერნიოვი — 89, ლ. იაშინი — 75, რ. დასაევი — 74, მ. ხურცილავა — 67, ვ. ბესონოვი — 66, ვ. ევტუშენკო — 65, ა. დემიანენკო — 60, ვ. ივანოვი, ვ. კაპლიჩნი — 59-59, იგორ ნეტო — 55, ვ. კოლოტოვი — 53, ი. ჩისლენკო, ე. ლოვჩევი 51-51.

● **ნაკრების** მიერ გატანილი 618 გოლიდან ჩვენს ფეხბურთელებზე მოდის 605, დანარჩენი 13 მეტოქეებმა საკუთარ კარში გაიტანეს.

● **10** და მეტი გოლის ავტორები არიან ო. ბლოხინი — 39, ვ. ივანოვი — 26, ე. სტრელცოვი — 24, ვ. კოლოტოვი — 22, ვ. პონედელნიკი — 20, ი. ჩისლენკო, ა. ბანიშევსკი — 19-19, ა. ილინი, ა. ბიშოვეცი 15-15, ფ. ჩერენკოვი — 13, ნ. სიმონიანი, ი. გავრილოვი, ო. პროტასოვი — 12-12, ს. მეტრეველი, ს. სალნიკოვი, ს. ანდრეევი — 11-11. ბ. ტატუშინი, რ. შენგელია — 10-10.

ს. მეტრეველისა და რ. შენგელიას გარდა თბილისელთაგან ბურთები გაიტანეს: დ. ყიფიანმა — 7, მ. ხურცილავამ — 6, კ. ასათიანმა და გ. ნოდიამ 5-5, მ. მესხმა — 4, ა. ჩივაძემ, ვ. დარასელიამ და რ. ჩელებაძემ — 3-3, ვ. ბარქაიამ, თ. სულაქველიძემ — 2-2, ა. ლოლობერიძემ, ვ. გუცაევმა, ვ. ქორიძემ, თ. კოსტავამ — თითო.

● **ნაკრების** კაპიტნის სამკლაურით ჩვენი გუნდი მინდორზე გამოიყვანა 32 ფეხბურთელმა, მათგან ყველაზე ხშირად ა. შესტერნიოვმა (67), ი. ნეტომ (52), ა. ჩივაძემ და რ. დასაევმა (26-26), მ. ხურცილავამ (23). ურუგვაის ნაკრებთან 1965 წლის შეხვედრაში ნაკრები მინდორზე გამოიყვანა ს. მეტრეველმა.

● **სსრ** კავშირის ნაკრებს სულ 16 უფროსი მწვრთნელი ჰყავდა: გ. კაჩალინი — 76 მატჩი, ვ. ლობანოვსკი — 44, კ. ბესკოვი — 43, ნ. მოროზოვი — 31, ნ. სიმონიანი — 29, მ. იაკუშინი — 28, ე. მალოფეევი — 25, ვ. ნიკოლაევი — 15, ა. პონომარიოვი — 14, ბ. არკადიევი და გ. ზონინი — 3-3, გ. გლაზკოვი — 2, ვ. სოკოლოვი და ო. ბაზილევიჩი — თითო.

**რევაზ კობაძე.**

### ანგარიშს აბარებს დირექტორი

# „დინამოს" სტადიონი — ჯანმრთელობის კერა

**სულ** ახლახან დამთავრდა 1987 წლის საფეხბურთო სეზონი. როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს" სტადიონზე წლეულს მრავალი მატჩი გაიმართა. გულშემატკივრებმა იხილეს შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობაში.

როგორი იყო მიმავალი წელი ჩვენი რესპუბლიკის ამ მთავარი სპორტული სარბიელისთვის, დინამოელთა სხვა სპორტნაგებობებისათვის?

„ლელოს" კორესპონდენტი შეხვდა და ესაუბრა სპორტკომბინატ „დინამოს" დირექტორს **ვაჟა ულენტს**, გთავაზობთ ამ ინტერვიუს.

**⊙ ბატონო ვაჟა, ხმარდება თუ არა საფეხბურთო ლატარიით შემოსული თანხა ჩვენი სპორტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას?**

— უნდა ითქვას, რომ ლატარიით შემოსული თანხის მეტი წილი სწორედ დინამოელთა ბაზების კეთილმოწყობასა და სპორტული ინვენტარის შეძენას ხმარდება.

**⊙ რას მოხმარდა ეს თანხა წლეულს და რის გაკეთებას აპირებთ ახლო მომავალში?**

— როგორც ცნობილია, თბილისის „დინამოს" სტადიონი რეკონსტრუქციის შემდეგ 1976 წელს ჩადგა მწყობრში. მთელი თერთმეტი სეზონია ჩვენს სტადიონზე არ განახლებულა გათბობის სისტემა. მხოლოდ წელს შევძელით მთლიანად გაგვეახლებინა სანტექნიკური კომუნიკაციები სტადიონის ტერიტორიაზე. როგორც წესი, ყოველი საფეხბურთო სეზონის დასაწყისში უნდა შევაკეთოთ ფეხბურთელთა გასახდელები. ფეხბურთის მოყვარულებს ალბათ ახსოვთ, რომ სტადიონის მე-16 და მე-17 სექტორები კარგა ხნის განმავლობაში გაუქმებული იყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ სწორედ აღნიშნული სექტორების ქვეშ მდებარეობს ჩვენი სპორტკომპლექსის საცურაო აუზი, როდესაც მშენებლებმა აუზის კაპიტალური რემონტი დაიწყეს, დავრწმუნდით, რომ ტრიბუნებზე მაყურებლის ყოფნა უსაფრთხო არ იყო. ამიტომ საჭირო გახდა საყრდენების გამაგრება. ორივე სექტორი სეზონის ბოლოს ჩადგა მწყობრში. ძირფესვიანად შეიცვალა სტადიონის გვერდით მდებარე „ნორჩი დინამოელის" სპეციალიზებული საფეხბურთო სკოლის გათბობის სისტემა. შევაკეთეთ აგრეთვე საერთო საცხოვრებელი: დიდი მასშტაბის სამუშაოები მიმდინარეობს დიღომშიც—თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდის საწვრთნელ ბაზაზე. კაპიტალური რემონტი ჩაუტარდა სანაპიროზე მდებარე ცხრავე საჩოგბურთო კორტსაც. რაც შეეხება სამომავლო გეგმებს, ახალი წლის დასაწყისისათვის მწყობრში ჩადგება ზემოხსენებული საცურაო აუზი, რომელიც პირვანდელი დატვირთვით იმუშავებს, უმასპინძლებს მოცურავეებსა და ცურვის შესწავლის მსურველთ. მომავალში მეაბრეშუმეთა ყოფილ შენობაში ბინას დაიდებს სპორტსაზოგადოება „დინამოს" რესპუბლიკური საბჭო. ამ ყველა თბილისელისთვის ნაცნობ წითელი აგურის შენობას უკვე გამოეცვალა სახურავი. მომავალი საფეხბურთო სეზონიდან „დინამოს" სტადიონზე დამონტაჟდება სამამულო წარმოების ახალი განათების სისტემა, რომელიც სავსებით შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებს. განზრახულია აგრეთვე ჩვენი სტადიონის მთლიანი გადახურვა.

**⊙ რა მდგომარეობაა „დინამოს" გამაჯანსაღებელ ჯგუფებში, მუშაობენ თუ არა ისინი სრული დატვირთვით?**

— ვფიქრობ, ყველასთვის ნათელია, რომ ჯანმრთელობის გასაკაჟებლად ნებისმიერი ასაკის ადამიანი უნდა ზრუნავდეს. თითოეულმა ადამიანმა ყოველდღიურად უნდა გამოძებნოს დრო ფიზკულტურისა და სპორტისათვის. სასიამოვნოა, რომ გამაჯანსაღებელ ჯგუფებში გასულ წლებთან შედარებით ახალგაზრდების რიცხვმა ბევრად იმატა. მომავალი თაობა ხომ ჯანმრთელი, მოძრავი და მობილური უნდა იყოს. იზრდება ვარჯიშის ინტენსივობაც. ჩვენ, რა თქმა უნდა, მივესალმებით ამ ფაქტს და ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა სწორად წარვმართოთ ახალგაზრდების ფიზიკური წრთობა, დღეს ჩვენთან სამოცდაათი ჯგუფი მუშაობს. აქედან ოცდათორმეტი ფასიანია. სულ ამ ჯგუფებში გაერთიანებულია ათას სამოცდაათი მომეცადინე.

ძირითადი დატვირთვა დღეს ჩოგბურთისა და ცურვის ჯგუფებზე მოდის. სამწუხაროდ, ხალხმრავალი არ არის მაგიდის ჩოგბურთისა და ველოსპორტის ჯგუფები. კვირაობით ჩვენი კომპლექსის სათადარიგო მოედანი და ცენტრალური სპორტული სარბიელი მთლიანად საშუალო სკოლებისა და პროფტექნიკური სასწავლებლების მოსწავლეებს ეთმობათ. ტარდება შეჯიბრებები მძლეოსნობასა და მინი-ფეხბურთში. კმაყოფილებით მინდა გითხრათ, რომ ათასობით მოზარდი სწორედ თბილისის „დინამოს" სტადიონზე ეზიარა ფიზკულტურასა და სპორტს.

**⊙ როგორ ამთვრებს მიმდინარე სამეურნეო წელს „დინამოს" სპორტკომბინატი, თანამშრომელთა პრემირებაზე რას გვეტყვით?**

— კომბინატმა წლევანდელი ოთხი კვარტალის გეგმა გადაჭარბებით შეასრულა. მოვიშველიებ ფაქტებს, 2 მილიონ 450 ათასი მანეთის ნაცვლად კომბინატის შემოსავალმა დღეისთვის უკვე 3 მილიონ 350 ათასი მანეთი შეადგინა, მთლიანად დაფარულია დოტაცია და კოლექტივი უკვე მოგების ანგარიშზე მუშაობს. რაღა თქმა უნდა, წლის ბოლომდე ეს ციფრები კიდევ უფრო გაიზრდება. რაც შეეხება პრემირებას, „დინამოს" სპორტკომბინატის თანამშრომლებმა სამივე კვარტლის პრემია უკვე მიიღეს. სულ მალე მეოთხე კვარტლის პრემიასაც გავცემთ.

**⊙ სტადიონის ხელმძღვანელობის მეცადინეობით ახლახან საფუძველი ჩაეყარა ფეხბურთის გულშემატკივართა კლუბს. ასეთ კლუბზე წლების განმავლობაში ოცნებობდნენ გულშემატკივრები.**

— ჩვენს კლუბს უკვე ჩამოყალიბებული, მე ვიტყოდი, გააზრებული სტრუქტურა და დებულება აქვს. ცხადია, ჰყავს თავმჯდომარეც. ეჭვგარეშეა, გულშემატკივართა კლუბს შეუძლია მართლაც დიდი დახმარება გაუწიოს სპორტის ამ ყველაზე პოპულარული სახეობის განვითარებას. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იგი ხელს შეუწყობს სტადიონზე წესრიგის დამყარებას, განამტკიცებს კონტაქტს ფეხბურთელებსა და გულშემატკივრებს შორის. კლუბის წევრები ამიერიდან სისტემატურად შეხვდებიან თბილისის „დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდს, ახლოს გაეცნობიან როგორც მთლიანად გუნდის, ისე ცალკეული ფეხბურთელების ცხოვრებას. თავის მხრივ, დინამოელები აქტიურ მონაწილეობას მიიღებენ კლუბის ყოველდღიურ საქმიანობაში. ცხადია, „დინამოს" სტადიონი კვლავაც აქტიურ დახმარებას გაუწევს გულშემატკივართა კლუბის წევრებს.

**ესაუბრა ზაზა კახაძე.**

## „მილანს" — დამარცხება

იტალიის საფეხბურთო ჩემპიონატის კალენდარული მატჩი „მილანსა" და „რომას" შორის მილანელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0, მაგრამ იტალიის საფეხბურთო ლიგის ხელმძღვანელობამ იმსჯელა ამ მატჩის შესახებ და „მილანს" დამარცხება ჩაუთვალა — 0:2, ხოლო „რომას" ასეთივე ანგარიშით — მოგება.

საქმე ისაა, რომ ამ მატჩის მეორე ნახევრის დაწყების წინ, „მილანის" გულშემატკივრები სათამაშო მინდორზე ისროდნენ სხვადასხვა საგნებს, მათ შორის ფეთქებად მაშხალებსაც. ერთ-ერთი მათგანი მოხვდა „რომას" და იტალიის ნაკრების მეკარეს ფრანკო ტანკრედის და დააზიანა იგი. ამის შესახებ ცნობა ადრეც იყო გამოქვეყნებული.

ახლა „მილანი" გათამაშების ცხრილში მეორე ადგილიდან მეოთხეზე ჩამოქვეითდა, ხოლო ლიდერობს „ნაპოლი".

## ტელე სანტანა — საუკეთესო

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა ტელე სანტანამ კიდევ ერთი წლით გააგრძელა კონტრაქტი „ატლეტიკო მინეიროსთან", ეს კლუბი კი მისი ხელმძღვანელობით ახლა ერთ-ერთი უძლიერესია ამ ქვეყანაში. ბრაზილიურ პრესაში მანამდე წერდნენ, რომ ტ. სანტანასთან მოლაპარაკებას აწარმოებდნენ პორტუგალიის „პორტო" და ესპანეთის „ბარსელონა".

— ახლა დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ 1988 წლის 31 დეკემბრამდე სანტანა ჩვენთან იქნება. — განაცხადა ქ. ბელუ ორიზონტის „ატლეტიკო მინეიროს" პრეზიდენტმა ნელსონ კამპოსმა.

ბრაზილიის სპორტულმა კომენტატორებმა ტელე სანტანა ბოლო 10 წლის საუკეთესო მწვრთნელად დაასახელეს თავიანთ ქვეყანაში.

# საქდესის საახალწლო ანკეტა

**საბჭოთა** კავშირის დეპეშათა სააგენტოს ტრადიციულ საახალწლო ანკეტაში მონაწილეობა მიიღო 31 ქვეყნის 34 საინფორმაციო სააგენტოს მიმომხილველმა. მათ შორის იყვნენ ააპ-ს (ავსტრალია), ანპ-ს (ჰოლანდია), ანსა-ს (იტალია), აპ-ს (აშშ), აპა-ს (ავსტრია), დდპ-ს (გფრ), კიოდო ცუსინის (იაპონია), ტტ-ს (შვეცია), ეფე-ს (ესპანეთი) და სხვა საინფორმაციო სამსახურის წარმომადგენლები.

მსოფლიოს საუკეთესო სპორტსმენად ერთხმად იქნა დასახელებული კანადელი მძლეოსანი, მსოფლიოს ჩემპიონი და რეკორდსმენი სპრინტში ბენ ჯონსონი. იგი 27-მა სააგენტომ პირველ ნომრად დააყენა.

მეორე ადგილი დაიკავა მსოფლიო ჩემპიონმა ველოსპორტში პროფესიონალთა შორის, „ტურ დე ფრანსში" გამარჯვებულმა ირლანდიელმა სტეფან როშმა. მესამე-მეოთხე ადგილები გაიყვეს აბსოლუტურმა ჩემპიონმა სპორტულ ტანვარჯიშში მოსკოველმა დმიტრი ბილოზერჩევმა და მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა ქალთა შორის შტეფი გრაფმა (გფრ).

სულ ანკეტაში 26 სპორტსმენის გვარია დასახელებული: ისინი 14 ქვეყანას წარმოადგენენ. როგორც ზემოთ ვთქვით, 27 სააგენტომ პირველი ადგილი ბენ ჯონსონს მიაკუთვნა, ორჯერ უძლიერესთა სიაში პირველ ნომრად დასახელებული იყვნენ როში და მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში გარი კასპაროვი, თითოჯერ — ბილოზერჩევი, გრაფი და მსოფლიო ჩემპიონი ავტოსპორტში („ფორმულა-1") ბრაზილიელი ნელსონ პიკე.

# დრო გვიჩვენებს...

**ბარი** კასპაროვმა, რომელიც ამ დღეებში კვლავ ავიდა საჭადრაკო ოლიმპზე, ახლა უკვე სულ ცოტა 3 წლით, განაცხადა, რომ იბრძოლებს ფიდე-ს (საერთაშორისო საჭადრაკო ფედერაცია) დიქტატის პოლიტიკის წინააღმდეგ.

აპ-ს სააგენტო იტყობინება, მატჩის შემდგომ პრესკონფერენციაზე გამოსვლისას კასპაროვმა აღნიშნა, რომ როგორც მოჭადრაკემ, ვერ შეძლო მთლიანად გამოევლინა თავისი თვისებები, რადგან ოცდაოთხივე პარტიის განმავლობაში ფიდე-ს შემოტევას ვგრძნობდით.

— მე ერთბაშად ორ ფრონტზე ვიბრძოდი, — თქვა კასპაროვმა — ჭადრაკის დაფასთან და კულისებში, ფიდე-ს დიქტატურასთან. განვლილ მატჩში მთელი ძალით მხოლოდ 24-ე პარტიაში ვითამაშე.

— მოხარული ვარ, — თქვა შემდეგ ჩემპიონმა, — რომ ყველაფერი ბოლო შეხვედრაში გადაწყდა.

კასპაროვის აზრით, ფსიქოლოგიურად ყველაზე უარესად იგი 23-ე პარტიაში გრძნობდა თავს.

— ამ პარტიის თამაშისას ბევრი გადავიტანე. ერთ მომენტში, ჯერ კიდევ შუა თამაშში, ვიგრძენი, რომ ვაგებდი. ასეც მოხდა. მაგრამ მაინც შევძელი გადამერჩინა ჩემპიონის ღირსება.

კასპაროვს ჰკითხეს, მართლა არსებობს თუ არა უსიამოვნება მას და კარპოვს შორის, თუ მატჩის დროს მათი მოქმედება თავისებურ რეკლამას შეიძლება მიეწეროს. როგორც ამერიკის სააგენტო აღნიშნავს, განვლილი მატჩის ცალკეული მომენტების მიხედვით, მათ ნორმალური ურთიერთობა ჰქონდათ. მაგალითად, 24-ე პარტიის შემდეგ ისინი ერთად არჩევდნენ დაფაზე შექმნილ პოზიციას.




— რატომ არა გგონიათ, რომ ერთობლივი გარჩევა არ იყო რეკლამა? — შემხვედრი კითხვა დასვა კასპაროვმა.

ჩემპიონი ზოგიერთ შეკითხვას ინგლისურად პასუხობდა, ზოგიერთს — რუსულად. თარჯიმანი მისი მეგობარი, ესპანელი საერთაშორისო ოსტატი რიკარდო კალვო იყო. პრესკონფერენციას, რომელიც სასტუმრო „სევილია დელ სოლში" ჩატარდა, არ ესწრებოდა ფიდე-ს არც ერთი ხელმძღვანელი.

სააგენტო აღნიშნავს, რომ თითქმის სამი წელია კასპაროვი ძალიან მძაფრად აკრიტიკებს ფიდე-ს ხელმძღვანელობას, კერძოდ მის პრეზიდენტს ფილიპინელ ფლორენსიო კამპომანესს იმ კორუფციისთვის, რომელიც ჩემპიონის აზრით, ჭადრაკის ხელმძღვანელთა შორისაა გაბატონებული. „ვიღაცას ხომ უნდა დაეწყო ფიდე-ს დიქტატურასთან ბრძოლა, და, აი, მე დავიწყე"... — თქვა კასპაროვმა.

შარშან დუბაიში, დიდოსტატთა ასოციაციის შექმნაში კასპაროვს დიდი წვლილი მიუძღვის. ამ ორგანოს ხელმძღვანელობენ მსოფლიოს წამყვანი მოჭადრაკეები. მისი მიზანია დიდი საერთაშორისო ტურნირების მოწყობა, ფიდე-ს ხელმძღვანელობის ჩაურევლად მრავალი საფინანსო საკითხის გადაწყვეტა.

— ზოგიერთს ჰგონია, რომ ამას საკუთარი გამორჩენის მიზნით ვაკეთებ. ეს არ არის სწორი, რადგან ამ შემთხვევაში ამდენი მეგობარი და თანამზრახველი არ გამომიჩნდებოდა. და თუ კიდევ ბევრი შემომიერთდება, ესე იგი, სწორ გზას ვადგავარ, — თქვა მსოფლიო ჩემპიონმა.

კასპაროვს ჰკითხეს, როგორი დამოკიდებულება ექნება მომავალში ფიდე-ს ხელმძღვანელობასთან.

— ხომ ნახეთ, რა დღეში ჩავარდნენ ჩემი გუშინდელი გამარჯვების შემდეგ, — თქვა კასპაროვმა. როგორც აპ-ს კორესპონდენტი წერს, მატჩი რომ დამთავრდა, ფიდე-ს პრეზიდენტს სახე დაემანჭა.

— დრო გვიჩვენებს, ვინ იყო მართალი, — თქვა ბოლოს მსოფლიო ჩემპიონმა.

**პუბლიკაცია მომზადებულია საკდესის მასალების მიხედვით.**

# ასახელებენ საუკეთესოებს

მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში გრძელდება საახალწლო კონკურსები და ანკეტები.

**პეკინი.** ჩინეთის სააგენტომ სინხუამ გამოყო მსოფლიოს სპორტული პრესის 10 ყველაზე მნიშვნელოვანი თემა გასულ სეზონში. პირველი ადგილი ერთხმად კანადელი მძლეოსნის ბენ ჯონსონის ისტორიულ მსოფლიო რეკორდს მიეკუთვნა. ეს შედეგი ჯონსონმა აჩვენა რომის მსოფლიო ჩემპიონატში 100 მეტრიან დისტანციაზე — 9,83.

**ვარშავა.** პოლონეთის სააგენტოს პაპ-ის გამოკითხვაში 1987 წლის ევროპის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია პროფესიონალი ირლანდიელი ველოსიპედისტი, მსოფლიო ჩემპიონი, „ტურ დე ფრანსსა" და „ჯირო დ' იტალიაში" გამარჯვებული სტივენ როში (140 ქულა). მას ორი ქულით ჩამორჩა გფრ-ის ჩოგბურთელი შტეფი გრაფი. მესამე და მეოთხე ადგილები დაიკავეს საბჭოთა სპორტსმენებმა, მძლეოსანმა სერგეი ბუბკამ (108 ქულა) და ტანმოვარჯიშემ დიმიტრი ბილოზერჩევმა (96 ქულა). შემდეგ მოდიან ჩოგბურთელი ივან ლენდლი (ჩეხოსლოვაკია), მძლეოსნები სტეფკა კოსტადინოვა (ბულგარეთი) და ზილკე გლადიში (გდრ).

**ჰანოი.** ვიეტნამის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია 18 წლის მოცურავე ნგუენ კიეუ სანი, რომელმაც გასულ წელს ხუთი ეროვნული რეკორდი დაამყარა.

**ჰავანა.** საახალწლო გამოკითხვაში ქვეყნის საუკეთესო სპორტსმენად დასახელებულია კლასიკური სტილის მოჭიდავე, მსოფლიო ჩემპიონი 52 კგ წონით კატეგორიაში პედრო როკეი.

**პარიზი.** როგორც ვიუწყებოდით, ფრანგულ ჟურნალ „ფრანს ფუტბოლის" ტრადიციულ გამოკითხვაში ევროპის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულია ჰოლანდიელი რუდი გულიტი. ახლა რამდენიმე ცნობა დამატებით.

გულიტმა მიიღო 106 ქულა და ყველა კონკურენტს გაუსწრო, მათ შორის მეორე ადგილზე გასულ პორტუგალიელ პაულუ ფუტრეს (91 ქულა) და მესამე პრიზიორს, ესპანელ ემილიო ბუტრაგენიოს (61 ქულა).

ჰოლანდიელი ფეხბურთელი აქამდე ადგილობრივ კლუბებში „ჰაარლემში", „ფეიენოორდსა" და „ეინდჰოვენში" გამოდიოდა, ახლა კი იტალიური კლუბის „მილანის" ღირსებას იცავს.

ამ დღეებში გულიტი საუკეთესო ფეხბურთელად დაასახელა ინგლისურმა „უორლდ სოკერმაც". თანაც მან ამ გამოკითხვაში საგრძნობლად გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ არგენტინელ დიეგო მარადონას.

**ლაგოსი.** ნიგერიის საუკეთესო სპორტსმენად ვაჟთა შორის ინოსენტ ეგბუნიკე აღიარეს. იგი 400 მეტრიან დისტანციაზე მსოფლიოს ექსჩემპიონია. გარდა ამისა, ეგბუნიკემ აფრიკის თამაშებში ორი ოქროს მედალი მოიპოვა.

ქალთა შორის უძლიერეს სპორტსმენად დასახელებულია აფრიკის ორგზის რეკორდსმენი სპრინტში მერი ონიალი.

# ამჯერად მეორეზე

**მადრიდი.** სსრ კავშირის კალათბურთელ ვაჟთა ნაკრებმა აქ მიმდინარე საახალწლო ტურნირში მხოლოდ მეორე ადგილი დაიკავა. ფინალში იგი ადგილობრივ „რეალთან" დამარცხდა — 95:99 (52:52).

დასაწყისში ჩვენმა გუნდმა მთელი თამაში პრესინგსა და კონტრშეტევებზე ააგო. ასეთმა ტაქტიკამ ნაყოფი გამოიღო, სტუმრები შესამჩნევად დაწინაურდნენ — 15:7. მერე და მერე თამაში გათანაბრდა, ესპანელი კალათბურთელები განსაკუთრებით ეფექტურად იყენებდნენ შორიდან სროლებს.

შესვენების შემდეგ ინიციატივა ესპანელთა მხარეს გადავიდა. საბჭოთა კალათბურთელებმა მხოლოდ ერთხელ გაათანაბრეს ანგარიში — 68:68. ფინიშზე კი „რეალი" აშკარად უკეთ გამოიყურებოდა.

ესპანელთაგან ყველაზე შედეგიანი მარტინი იყო (25 ქულა), საბჭოთა ნაკრებში კი მიგლინიეკსი (17).

მესამე ადგილისთვის ბრძოლაში ევროპის ჩემპიონმა საბერძნეთის ნაკრებმა არგენტინის ეროვნული გუნდი დაამარცხა — 80:59 (39:21).

# ბოლო შეხვედრა ჟაკ ანკეტილთან

30 წლის წინ 23 წლის ნაკლებადცნობილმა ფრანგმა ველოსიპედისტმა ჟაკ ანკეტილმა სენსაციური გამარჯვება მოიპოვა „ტურ დე ფრანსში", რომელსაც ზედიზედ კიდევ ოთხი გამარჯვება მოჰყვა (1961-1964 წლებში) ამავე შეჯიბრებაში და ანკეტილი ყველა დროის 3 საუკეთესო ველოსიპედისტთა შორის მოხვდა ფაუსტო კოპისა და ედი მერქსთან ერთად. მიუხედავად ამისა, პროფესიონალი ველოსიპედისტი 18 წლის ბრწყინვალე კარიერის განმავლობაში ერთხელაც ვერ გახდა მსოფლიო ჩემპიონი (მან ორჯერ მოიპოვა ვერცხლის მედალი, ერთხელ 1956 წ. — 5 კმ რბოლაში, მეორედ კი 1966 წ. ნიურბურგინის (გფრ) გზატკეცილზე, სადაც ფინიშზე რ. ალტიგმა გადაუსწრო). თუმცა, მრავალრიცხოვანმა გამარჯვებებმა მრავალდღიან რბოლებში, მათ შორის ორჯერ „ჯირო დ' იტალიაში" „უელტა დ' ესპანიაში", 550 კილომეტრიან მარათონში — ბორდო-პარიზი, აგრეთვე, მსოფლიო რეკორდმა ერთსაათიან რბოლაში ტრეკზე — მისი სახელი ლეგენდარული გახადეს.

ბოლო წლებში ჟაკ ანკეტილი გატაცებით მუშაობდა თავის ფერმაში, სადაც მოჰყავდა ხორბალი, ინახავდა ასობით ძროხას. იგი უმდიდრესი ადამიანი იყო — ჟურნალისტებმა მარტო მის ციხესიმაგრეს 370 ფანჯარა დაუთვალეს, მიუხედავად ამისა, მას ძალიან უყვარდა მუშაობა, საათობით შეეძლო არ ჩამოსულიყო ტრაქტორიდან. ამ ნიადაგზე იგი უფრო დაუმეგობრდა ბერნარ ინოს, რომელმაც იმ დროისთვის თავისი სპორტული კარიერა დაამთავრა და ფერმერობას მიჰყო ხელი. ბერნარ ინომ მონათლა ჟაკ ანკეტილის 3 წლის ვაჟი.

ფერმაში საქმეები წარმატებით მიდიოდა, მხოლოდ წელიწადში ორჯერ „ტურ დე ფრანსის" და მსოფლიო ჩემპიონატის დროს ანკეტილი უბრუნდებოდა სპორტულ სამყაროს. „ტურ დე ფრანსზე" ის რადიოკომენტატორის მოვალეობას ასრულებდა. მსოფლიო ჩემპიონატის დროს კი, მისი ადგილი იყო „კაპიტნის ხიდზე" საფრანგეთის გუნდის მანქანაში, რომლის სპორტული დირექტორიც ყველა ბოლო მსოფლიო ჩემპიონატზე თვითონ იყო.

1987 წელს ავსტრიის პატარა ქალაქ ფილახში ჩვენ უკანასკნელად ვნახეთ ჟაკ ანკეტილი მისთვის ჩვეულ ადგილზე — საფრანგეთის ფედერაციის მანქანაში. ის პროფესიონალთა რბოლას ადევნებდა თვალს, რომელიც 7 საათზე მეტ ხანს გრძელდებოდა. ამ დროს ყველასათვის ცნობილი იყო, რომ ანკეტილი უკურნებელი სენით, კიბოთი იყო დაავადებული და ერთი თვის წინ მას თითქმის მთელი კუჭი ამოჭრეს.

მეორე დღეს, ფილახთან ახლომდებარე ქალაქ კლაგენფურტიდან ჩვენ ერთად გავფრინდით ვენაში. ჟაკ ანკეტილი, როგორც ყოველთვის, ძალიან თავაზიანი იყო, თუმცა სახის ნაკვთები როგორღაც დაგრძელებოდა და გაფერმკრთალებული იყო. ვინ მოიფიქრებდა, რომ ორ თვეში ცოცხლებს შორის აღარ იქნებოდა. ჟაკ ანკეტილის სიკვდილის ამბავმა შეძრა მთელი საფრანგეთი და ველოსიპედისტთა სამყარო. პრესამ გამოაქვეყნა ფ. მიტერანის, ჟ. შირაკის, ჟ. მარშეს და სხვა პოლიტიკურ და საზოგადო მოღვაწეთა დეპეშები. ჟაკ ანკეტილის ცხოვრებასა და მოღვაწეობას მრავალსაათიანი გადაცემები მიუძღვნა საფრანგეთის ტელევიზიამ. თავის ბოლო ინტერვიუში ანკეტილი იხსენებდა, რომ საპატიო ლეგიონის ორდენით დაჯილდოების დროს მისი ყოფილი „გულშემატკივარი" საფრანგეთის მაშინდელი პრეზიდენტი შარლ დე გოლი დიდხანს ესაუბრა ანკეტილს და გაიხსენა ველომრბოლელის ყველა მნიშვნელოვანი გამარჯვება.



ფრანგულმა ჟურნალებმა „მირუარ დიუ სიკლიზმმა" და „ველომ" სპეციალური ნომრები მთლიანად ჟაკ ანკეტილს მიუძღვნეს, რომლებიც რამდენიმე საათში გაიყიდა.

ჩემს კოლექციაში 30 წლის განმავლობაში ბევრი მასალა შეგროვდა ჟაკ ანკეტილის შესახებ, მათ შორის ბევრი თვით მისგან მივიღე. დღეს მინდა გავიხსენო ფოტო, რომელიც 1960 წელს „ჯირო დ' იტალიაში" გამარჯვების დღეს არის გადაღებული, როდესაც ანკეტილი მეუღლესთან ერთად განცალკევდა პატარა იტალიურ რესტორანში. მართალია, ანკეტილის ავტოგრაფი სურათზე დრომ გაახუნა, მაგრამ ის გვაბრუნებს ჩვენ იმ პერიოდთან, როცა მსოფლიო ველოსპორტის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე უფრო დიდი ვარსკვლავი ამობრწყინდა.

**მირონ ბარამია,**
**ველოსიპედისტთა საერთაშორისო კავშირის ტექნიკური კომისიის წევრი.**

## „სპორტპროგნოზი"

**52-ე ტირაჟის შედეგები (26-27 დეკემბერი)**

1-2, 2-2, 3-2, 4-1, 5-1, 6-1, 7-1, 8-1, 9-1, 10-1, 11-1, 12-2, 13-2.

**შენიშვნა:** პირველი ციფრი წყვილის ნომერს აღნიშნავს, მეორე — შედეგს.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა პარასკევს, 1 იანვარს.

რედაქტორი
**თ. გაჩეჩილაძე.**

**ჩვენი მისამართი:**
წერილებისთვის — 380096
თბილისი, ლენინის ქ. 14.
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

**რედაქციის ტელეფონები:**
წერილების განყოფილება — 93-97-55,
სამდივნო — 93-97-52,
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-53,
„მერანი" — 93-97-26, „მართვე" — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სტამბა. 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში: ხოშარაულის, 29.

1 2 3 4-5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20 უე 07300